დანართი №2

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
01505
030119258388716

შპს ელსელემა
ELSELEMA LTD

N 7

23.02.2018წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ელსელემა"-ს შორის 2017 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება N3/3504/43 სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"ს თანამშრომლებისათვის სპეციალიზებული ფორმების შესყიდვაზე.

შპს „ელსელემა"მ უნიფორმების დამზადებისათვის საჭირო ნედლეული შეუკვეთა ჩინურ კომპანიას. მოწოდება უნდა განხორციელებულიყო ორ ეტაპად. ნედლეულის ნაწილი შემოვიდა, ნაწილის დამზადება კი ვერ მოესწრო ჩინეთის რესპუბლიკაში საახალწლო დღესასწაულების დაწყების გამო. ადგილზე არსებული უკვე ჩაამოსული ნედლეული კი საკმარისი არაა მზა პროდუქციის მისაღებად.

დღესასწაული ჩინეთის რესპუბლიკაში დასრულდა და დარჩენილი ნედლეული გამოიგზავნება თებერვლის თვის ბოლომდე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ შექმნილი მდგომარეობა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნიფორმების მოწოდების ვადა გადაგვიწიოთ 2018 წლის 21 აპრილის ჩათვლით.

პატივისცემით,

ელგუჯა მამასახლისი

შპს „ელსელემა"ს

გენ.დირექტორი

18796
23 02 2018

www.elselema.ge
E-mail: elselema@yahoo.com

საქართველო, თბილისი 0141, გურამიშვილის გამზ. 64ა
ტელ.: +(995 32) 247 52 32, ტელ/ფაქსი: +(995 32) 260 18 00
64a Guramishvili Ave., 0141 Tbilisi, Georgia
Tel.: +(995 32) 247 52 32, Tel/Fax: +(995 32) 260 18 00

8-9

დანართი №3

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030110623780818

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/14859 **14 / მარტი / 2018 წ.**

შპს „ელსელემა"-ს
გენერალურ დირექტორს
ელგუჯა მამასახლისს
ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ.64ა

ბატონო ელგუჯა,

თქვენი 2018 წლის 23 თებერვლის N18796 წერილის პასუხად გაცნობობთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ელსელემა"-ს შორის 2017 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული 3/3504/43 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1. პუნქტის შესაბამისად, „ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი".

თქვენს მიერ გამოგზავნილ წერილში მითითებული გარემოება, ჩინეთის რესპუბლიკაში საახალწლო დღესასწაულის თაობაზე ვერ ჩაითვლება „ფორს-მაჟორულ" გარემოებად, ვინაიდან ამავე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.2. ქუნქტის შესაბამისად: „ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა".

ამასთან, ჩინეთის რესპუბლიკაში საახალწლო დღესასწაულის არსებობა თქვენთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო გაცილებით ადრე ხელშეკრულების გაფორმებისას და თქვენს მიერ აღნიშნული გარემოება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.2. პუნქტის თანახმად, „შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით".

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ივანე ბიბილაშვილი

დანართი №4

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

15 05

030125356623416

შპს ელსელემა
ELSELEMA LTD

N 26

24.04.2018წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ თ.ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ელსელემა"-ს შორის 2017 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება N3/3504/43 სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"ს თანამშრომლებისათვის სპეციალიზებული ფორმების შესყიდვაზე.

მომწოდებელი კომპანიის მიერ ნედლეულის დაგვიანებით მოწოდების გამო, მოხდა წარმოების პროცესის შეფერხება.

დღეის მდგომარეობით ინტენსიურად მიმდინარეობს კერვის პროცესი, როგორც ზაფხულის ისე ზამთრის მოდელების.

ამჟამად დაწყებულია პროდუქციის ეტაპობრივი მოწოდება. ზაფხულის ფორმის მოწოდება დასრულდება მაისის პირველ ნახევარში, შესაბამისად გაგრძელდება ზამთრის ფორმის დამზადებაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაგვიწიოთ 2018 წლის ივნისის თვის ბოლომდე.

ჩვენს მიერ საჯარიმო სანქციები გადახდილი იქნება სრულად.

პატივისცემით,

ელგუჯა მამასახლისი

შპს „ელსელემა"-ს

გენ.დირექტორი

24 38988 09 18

www.elselema.ge
E-mail: elselema@yahoo.com

საქართველო, თბილისი 0141, გურამიშვილის გამზ. 64ა
ტელ.: +(995 32) 247 52 32, ტელ/ფაქსი: +(995 32) 260 18 00
64a Guramishvili Ave., 0141 Tbilisi, Georgia
Tel.: +(995 32) 247 52 32, Tel/Fax: +(995 32) 260 18 00

დანართი №5

შპს ელსელემა
ELSELEMA LTD

N27

26.04.2018წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
15 05
030102810471016

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ელსელემა"-ს შორის 2017 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება N3/3504/43 სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"ს თანამშრომლებისათვის სპეციალიზებული ფორმების შესყიდვაზე.

2018 წლის 24 აპრილს გამზადდა პროდუქციის ნაწილი მისაწოდებლად, მაგრამ სამინისტროდან სატელეფონო საუბრის საფუძველზე მიწოდება შეჩერდა და შესაბამისად გაუქმდა გამოწერილი სასაქონლო ზედნადები.

ამის შემდგომ გამზადებული პროდუქცია საწყობში განმეორებით იქნა მიწოდებული 2018 წლისს 26 აპრილს , მაგრამ საწყობმა დამზადებული უნიფორმა არ მიიღო და შესაბამისად მზა პროდუქცია უკან დაბრუნდა.

გთხოვთ მოგვცეთ საშუალება დავასრულოთ მიმდინარე პროექტი, ვინაიდან მოსაწოდებელი უნიფორმის სრული რაოდენობა არის წარმოების პროცესში, რომლის დამთავრებისათვის გვესაჭიროება რამოდენიმე კვირა.

ხელშეკრულების შესასრულებლად გამოყოფილი თანხა 535806,00 (ხუთას ოცდათხუთმეტი ათას რვა ას ექვსი) ლარი სრულად არის დახარჯული მიმდინარე პროექტის შესარულებლად და შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტა გამოიწვევს კომპანიის გაკოტრებას და შპს „ელსელემა"ს 200 თანამშრომლს უმუშევრად დარჩენას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაგვიწიოთ 2018 წლის ივნისის თვის ბოლომდე. საჯარიმო სანქციები ჩვენს მიერ დაფარული იქნება სრულად.

პატივისცემით,

ელგუჯა მამასახლისი

შპს „ელსელემა"

გენ.დირექტორი

"ELSELEMA" LIMITED COMPANY
ELSELEMA
204438073

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 40240
26. 04 2018 წ.
1 ფურცელი

0-18.

www.elselema.ge
E-mail: elselema@yahoo.com
საქართველო, თბილისი 0141, გურამიშვილის გამზ. 64ა
ტელ.: +(995 32) 247 52 32, ტელ/ფაქსი: +(995 32) 260 18 00
64a Guramishvili Ave., 0141 Tbilisi, Georgia
Tel.: +(995 32) 247 52 32, Tel/Fax: +(995 32) 260 18 00